# საქართველოს პარლამენტის ბიუროს განკარგულება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

საქართველოს პარლამენტი

№ 14/9

17 დეკემბერი. 2012 წელი

საქართველოს კანონის პროექტი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/34, 13.12.2012)

*დასახელება*

საქ. პარლამენტის წევრი გ. აგულაშვილი

*ინიციატორი*

საქ. პარლამენტის წევრი გ. აგულაშვილი

*ავტორი*

აგრარულ საკითხთა კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

13. 12. 2012.

*შემოსვლის თარიღი*

წამყვან კომიტეტზე – 21.12.2012
სხვა კომიტეტებზე – 21.12.2012

*საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი*

21 დეკემბერი.

*პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი*

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№14/14

2012 წელი, 17 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 164 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის გიგლა აგულაშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის გიგლა აგულაშვილის საკანონმდებლო ინიციატივით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (07-3/34, 13.12.2012) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს გამარტივებული წესით (ერთი მოსმენით).

2. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების თაობაზე საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის №14/9 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი